# ოქმი №2

მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა
29.02.2012წ
სახელმწიფო შესყიდვების საკონკურსო კომისიის სხდომა

ესწრებოდნენ:
მ. დანელია – მარტვლის მუნიციპალიტეტის გამგებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.
ბ. გოროზია – არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.
ი. ციკოლია – შესყიდვების განყოფილების უფროსი.
ი. ოდიშარია – მთ. სპეციალისტი შესყიდვების საკითხებში.
თ. წივწივაძე – კადრებისა და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი.
ნ. ხუნწელია- სპეციალისტი პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.
გ. კვანტალიანი – მთ. სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის მიერ მარტვილის მუნიციპალიტეტში აბაშის წყლის კანიონის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვაზე გამოცხადებულ კონკურსში მიმწოდებელთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვა.

მომხსენებელი: მ. დანელია – მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგებელი, კომისიის თავმჯდომარე.

კომისიისთ თავმჯდომარემ საკონკურსო კომისიის სხდომა გახსნა 15:00 სთ-ზე. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ 29 თებერვალს 12:20 სთ-ზე საკონკურსო კომისიას საკონკურსო წინადადება წარუდგინა ერთმა პრეტენდენტმა შპს „ლ.დ. უნიონმა" დალუქული კონვერტის სახით, ასევე საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. კომისიის თამჯდომარემ კომისიის წევრების თანდასწრებით გახსნა კონვერტი.

კომისიამ განიხილა შპს „ლ.დ.უნიონი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ შპს „ლ.დ.უნიონი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომელიც მოიცავს საკონკურსო წინადადების ფასსა და ტექნიკურ დოკუმენტაციას შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

დაადგინეს:

1. შპს „ლ.დ.უნიონი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.
2. სატენდერო კომისიის წევრს ი. ციკოლიას დაევალა აღნიშნული ოქმი და წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მიაწოდოს სახელმწიფო კონკურენციისა და შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე.

მ. დანელია სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

სატენდერო კომისიის წევრები:

ბ. გოროზია

ი. ციკოლია

ი. ოდიშარია

თ. წივწივაძე

ნ. ხუნწელია

გ. კვანტალიანი